

ოქმი N1

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

2017 წელი, 10 იანვარი

ქ. ოზურგეთი, 12⁰⁰სთ

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარე: გ.კობალაძე.

კომისიების თავმჯდომარეები: ი.საჯაია, ლ.ბიგვავა, მ.მახაროზლიძე.

ფრაქციის თავმჯდომარეები: თ.ნადირიძე, კ.კვაჭაძე, ნ.ორაგველიძე,

საკრებულოს წევრები: ნ.შარაშანიძე, ვ. ჩიგოგიძე, გ.ძიმისტარიშვილი,
ლ.მგელაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის პასუხისმგებელი პირები.

არ ესწრებოდნენ: ნ.გოგუაძე, ლ.თოიძე, ნ.ტაბატაძე, თ.სალუქვაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძე.

გ. ძიმისტარიშვილმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა დეპუტატ ნ. ორაგველიძეს.

გ. კობალაძემ გაფრთხილება მისცა გ. ძიმისტარიშვილსთუმცა დეპუტატი მაინც აგრძელებდა შეურაცხყოფელი განცხადებებით გამოსვლას,რისთვისაც თავმჯდომარემ მას სხდომის დატოვებისკენ მოუწოდა.

გ. კობალაძემ შობა-ახალი წელი მიულოცა დამსწრეთ, ასევე ლ. ჭელიძეს მიულოცა დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელად დანიშვნა.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დამტკიცდა ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: მარიკა ნაცვალაძე

ლავრენტი ბიგვავა

მომხსენებელმა მ. ნაცვალაძემ სხდომაზე დამსწრეთ გააცნო წარმოდგენილი პროექტი.

აზრი გამოთქვას: თ. ნადირიძე - რამ გამოიწვია უფასო სასადილოს თანხის შემცირება?

მ. ნაცვალაძე - მოხდა შემცირება ტენდერით.

ნ. შარაშანიძე - ახალდამტკიცებულ ბიუჯეტს რატომ დასჭირდა ცვლილება?

მ.ნაცვალაძე - იყო ნაშთი , რომელიც უნდა აისახოს ბიუჯეტში.

ლ.მგელაძე - ფონდი გაუქმდა თუ ფეხბურთს რატომ არ ვუხდით 180,0 ათ. ლარს? ისე არ დაგვემართოს, რომ სულ გავაკოტროთ გუნდი, რომელიც ისედაც გაუბედურებულია.

ლ. ბიგვავა - თანხის ლავირების უფლება გვაქვს ყოველთვის.

გ.კობალაძე - ფეხბურთის გუნდს ჩვენგან ხელშეწყობა არ აკლია.

თ.ნადირიძე - მრავალშვილიან ოჯახებს რატომ ვუწყვეტთ დახმარებას, რამ გამოიწვია?

მ.ნაცვალაძე - თანხა არ გავვიზრდია, არც შეგვიმცირებია, დახმარების გარეშე არ დაგვიტოვებია არავინ.

ლ.ბიგვავა - ბიუჯეტი წარმოდგენილი იქნა 10 თვის საკასო მონაცემებით. ის მივიღეთ 2016 წლის დონეზე. კანონით ცვლილებები უნდა იქნას შეტანილი წლიური საკასო მონაცემების ფონზე.

ლ.მგელაძე - გაჩნდა დამატებითი თანხა თეატრის, საფეხბურთო გუნდის და ფოლკლორის შესაბამის სამინისტროებში გადასვლის გამო. უფასო სასადილოზე ჩატარდა ტენდერი, რომლითაც მოხდა თანხის შემცირება.

მ.ნაცვალაძე - დაკორექტირდა შემოსავლები და მოხდა ცვლილება.

ლ.მგელაძე - რის საფუძველზე ემატება რაგბის განვითარებას 10 ათ. ლარი, გთხოვთ საბუთები მოგვაწოდოთ ყველა დეპუტატს.

ნ.შარაშანიძე - უფასო კვების თანხა არ უნდა შემცირებულიყო, თანხა აკლდება, ბენეფიციარები მოემატა.

მ.ნაცვალაძე - იმის მოსაკვლევადა, ეყოფა თუ არა ეს თანხა კვებას, არსებობს სამსახურები.

გ. კობალაძე - ორგანიზაცია როგორ ასრულებს მოვალეობას, ამას ვნახავ შემოწმებებით.

გ.ძიმისტარიშვილი - სპორტკომიტეტში თუ გაკეთდება გათბობა?

ლ. ბიგვავა - ბიუჯეტში ცვლილებები გათვალისწინებულია კანონით და რეგლამენტით. მან წარმოადგინა კომისიის დასკვნა.

ვ.ჩიგოგიძე - მე მჯერა, რომ ცვლილებები კანონთან შესაბამისობაშია, მაგრამ გვახსოვდეს რომ ოზურგეთი ფოლკლორის ქალაქია, ასევე გვაქვს თეატრი, რომელიც გადავიდა სამინისტროს დაქვემდებარებაში, დარჩება უსახსროდ, ამიტომ საკრებულოს სხდომებზე მოგვიწევს თეატრზე და კულტურაზე საუბარი. გთხოვთ გაითვალისწინოთ.

გ.კობალაძე - ძალიან გვიხარია, რომ უნიკალური თატრი გვექნება ოზურგეთში და არ დავუშვებთ არ გვყავდეს დასი.

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება

დამტკიცდა 8 ხმით

წინააღმდეგი: თ. ნადირიძე, ნ. შარაშანიძე, ლ. მგელაძე.

დადგენილება თან ერთვის

2. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: თამარ დუმბაძე

მომხსენებელმა თ. დუმბაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი და ითხოვა საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

აზრი გამოთქვს: თ. ნადირიძე - ვისგან დაკომპლექტდება სამუშაო ჯგუფი?

ლ.ბიგვავა - მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებისგან.

გ.კობალაძე - დავიწყეთ საჯარო ადმინისტრაციული წარმოება 19 თებერვლამდე.

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება

დამტკიცდა ერთხმად

დადგენილება თან ერთვის

3. „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელით (ს/კ237113850) სესხის მიღებაზე, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ 2016 წლის 20 დეკემბრის N63 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: გიორგი ხუროშვილი

ლავრენტი ბიგვავა

მომხსენებელმა გ. ხუროშვილმა განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

აზრი გამოთქვს: ლ. ბიგვავა - კრედიტის გაფორმება ევროში თავიდანვე არასწორი იყო, სესხი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში. მან წარმოადგინა კომისიის დასკვნა.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება

დამტკიცდა ერთხმად

განკარგულება თან ერთვის

4. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ“ - ქალაქ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად,
საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: გიორგი ხუროშვილი

მომხსენებელმა გ. ხუროშვილმა განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება

დამტკიცდა ერთხმად


დადგენილება თან ერთვის

სხდომის თავმჯდომარემ გელა კობალაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და
სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

გელა კობალაძე

გელა კობალაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა